ხელშეკრულება № 9

ქ. ქობულეთი 6 ნოემბერი 2013წ.

შესყიდვების შესახებ

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა, (მის: ქობულეთი აღმაშენებლის 267) მისი დირექტორის ზურაბ კახიძის სახით, შემდგომში " შემსყიდველი " და მეორეს მხრივ შპს "ნუგეში პლიუსი" (მის: ქობულეთი, რუსთაველის ქ. №111) მისი დირექტორის კახა ჯინჭარაძის სახით, შემდგომში " მიმწოდებელი " დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის სამედიცინო ხარჯიდან-მედიკამენტების შესყიდვა.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს" მედიკამენტები, ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, საბიუჯეტო სახსრებით.

1.3. მთლიანი სახელშეკრულებლო თანხა შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

1.4. შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა № 3 –ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. "საქონელი" ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის მედდა მაყვალა გოგიტიძე.

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლაო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3. ანგარისწორება

3.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4. სადაო საკითხების გადაწყვეტა

4.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

4.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

5. გამოყენებული სამართალი

5.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გახრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლიარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან და სამივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

10. გადასახადები და ბაჟები

10.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	შპს „ნუგეში პლიუსი "
ს/კ: 247007135	ს/კ: 446956660
ა/ნ: **GE56LB0120113125552000**	ა/ნ: **GE14BG0000000616279000**
სს „ლიბერთი ბანკი„	სს „ საქართველოს ბანკი "
ბანკის კოდი: **LBRTGE22**	ბანკის კოდი: **BAGAGE22**
დირექტორი: /ზ. კახიძე /	დირექტორი /კ. ჯიბუტაძე/

ინფორმაცია

რაოდენობისა და ფასების შესახებ

ფორმა № 3

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა ლარი
1	ვალერიანის ნაყენი	ცალი	3	0,60	1,80
2	კორვალოლი	ცალი	2	0,65	1,30
3	ნოშპა	ცალი	2	4,70	9,40
4	იოდი	ცალი	6	0,50	3,00
5	ბრილიანტის მწვანე	ცალი	6	0,40	2,40
6	წყალბადის ზეჟანგი	ცალი	5	0,60	3,00
7	ბამბა	ცალი	10	0,60	6,00
8	ბინტი	ცალი	10	0,65	6,50
9	სანტავიკი	ცალი	20	0,25	5,00
10	ლეიკოპლასტირი	ცალი	2	2,40	4,80
11	კორსიზი	ცალი	3	1,00	3,00
12	ვალიდოლი	ცალი	5	0,45	2,25
13	კეტონალი	ცალი	1	5,20	5,20
14	ცინეპარი	ცალი	3	2,00	6,00
15	ციტრამონი	ცალი	10	0,10	1,00
16	ანალგინი	ცალი	4	0,50	2,00
17	ბარალგინი	ცალი	10	0,40	4,00
18	ნოლ-გრიპი	ცალი	5	1,10	5,50
19	ასპირინ-უფსა	ცალი	1	4,50	4,50
20	ენაპ-აშ	ცალი	2	3,50	7,00
21	პაპაზოლი	ცალი	5	0,45	2,25
22	რაუნატინი	ცალი	1	2,50	2,50
23	სტრეპტოციდი	ცალი	5	0,15	0,75
24	რეჰიდრონი	ცალი	3	0,38	1,14
25	სტრეფსილსი	ცალი	2	5,00	10,00
26	ერითრომიცინი	ცალი	5	1,20	6,00
27	ყურის ჩხირი	ცალი	1	3,00	3,00
28	თვალის წვეთი ლევომიცეტინი	ცალი	2	0,85	1,70
29	ნავთიზინი	ცალი	6	0,35	2,10
30	ტრაუმელი	ცალი	1	12,35	12,35
31	ფასტუმ-გელი	ცალი	1	5,10	5,10
32	ლეომეკოლი	ცალი	1	5,15	5,15
33	ტავეგილი	ცალი	1	6,05	6,05
34	კლოტრიმაზოლი	ცალი	2	1,50	3,00
35	კოლხური	ცალი	1	5,30	5,30
36	წნევის აპარატი	ცალი	1	43,00	43,00
37	რეზინის ხელთათმანი	ცალი	6	0,35	2,10
38	სამედიცინო ყუთი	ცალი	1	4,10	4,10
39	თვალის წვეთი ლევომიცეტინი	ცალი		0,75	0,75
	სულ				199,99

შპს "ნუგეში პლიუსი "-ს დირექტორი კ.ჯინჭარაძე